პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 20 აპრილი, 1943 წ. № 89 (6714). ფასი 20 კაპ.

ჰიტლერის პოლონელი თანამშრომლები

ცილისწამება სწრაფად ვრცელდება. არც კი შემშრალა მელანი გერმანელ ფაშისტ მჯდომარეთა კალმებზე, რომ გებელსისა და კომპანიის საზიზღარ ჭორებს—ვითომც საბჭოთა ორგანოებს 1940 წელს პოლონელი ოფიცრები მასობრივად დაეხვრიტოთ — ბანი მისცეს არა მარტო ჰიტლერის ერთგულმა ლაქიებმა, არამედ, რაც საკვირველია, გენერალ სიკორსკის სამინისტროს წრეებმაც.

რეიტერის საგენტოს ცნობით, პოლონეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე ამ ჰიტლერული ნაყალბევის საკითხზე.

თითქოს, პოლონეთის სამინისტროსათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა საზიზღარი რეპუტაციით სარგებლობს გერმანული პროპაგანდა, რომელმაც უკვე დიდი ხანია გადააჭარბა საზარელი, პროვოკაციული სიცრუის ყველა რეკორდს.

თითქოს, პოლონელი მინისტრებისათვის გასაგები უნდა იყოს ჰიტლერული ნაყალბევისა და პროვოკაციების მიზანიც. თუმცა, თვით პოლონეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს კომუნიკეც აცხადებს: „ჩვენ შევეჩვიეთ გერმანული პროპაგანდის სიცრუეს და გვესმის მის უკანასკნელ მხილებათა მიზანი...“.

და მაინც, საღი გონების წინააღმდეგ, პოლონეთის სამინისტრომ ვერაფერი ჰპოვა იმაზე უკეთესი, რომ თავის კომუნიკეში აჰყოლოდა ჰიტლერელთა საზიზღარ პროვოკაციას და მიემართა საერთაშორისო წითელი ჯვრისათვის თხოვნით—„გამოიძიოს“ ის, რაც არ ყოფილა. უფრო სწორად რომ ითქვას—ის, რაც ბერლინელმა ავაზაკებმა ჩაიდინეს, შემდეგ კი ყალთაბანდურად მიაწერეს საბჭოთა ორგანოებს. პოლონელი ხელმძღვანელნი შეუწყნარებლად წამოეგნენ პირწავარდნილი გებელსელი პროვოკატორების ანკესზე და ამრიგად საქმით დაუჭირეს მხარი პოლონელი ხალხის ჯალათთა ყალთაბანდურ ხრიკებს ცილისწამებით აღსავსე ჭორებს.

ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ ჰიტლერმაც მიმართა საერთაშორისო წითელ ჯვარს წინადადებით „გამოიძიოს“ მისი სისხლის სამართლის საქმეთა ოსტატების ხელით მომზადებული ინსცენირება. ამრიგად, გერმანელი პროვოკატორებისა და მათი პოლონელი დამქაშების გზები ერთმანეთს დაემთხვა...

ამავე დროს პოლონეთის სამინისტროს წრეებს უნდა სცოდნოდათ, რომ ჰიტლერელი მატყუარები პირველად როდი მიმართავენ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ასეთ საშუალებას, რომ ისინი ახლა სწორედ ისევე მოქმედებენ, როგორც უკვე სცადეს ემოქმედნათ ლვოვში 1941 წელს, ეგრეთწოდებული „ლვოვში ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლთა“ გამო. თავის დროზე საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა მთელი რიგი განცხადებანი ქალაქ ლვოვის მცხოვრებლებისა, რომლებმაც თავი დააღწიეს ჰიტლერელთა სისხლიან კლანჭებს, მოწმეებისა, რომლებმაც უდავოდ დაამტკიცეს, რომ ჰიტლერელები ქლეტენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების მიერ ხელში ჩაგდებულ მოსახლეობას. მასწავლებელმა ა. კ. კოვალსკაიამ, ჰილზის ფაბრიკა „აიდას“ მუშამ ი. ბრიანცევმა, ტექნიკუმის სტუდენტმა ვ. ხალეცკიმ, საკონდიტრო ფაბრიკა „ბოლშევიკის“ მუშამ გ. ბარმაშმა, ეუტინამ, ბარვინსკიმ, გოდოვანეცმა, ბალატრიკმა, მრაჩევმა, ათობით და ასობით ადამიანებმა—საშინელი ამბის მნახველებმა, ჰიტლერელი ჯალათების მიერ ქალაქ ლვოვის მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივად სიკვდილით დასჯის მოწმეებმა,—ამხელეს ჰიტლერული ცილისწამება, საზიზღარი სიცრუე „ლვოვში ჩადენილი ბოლშევიკური მხეცობის“ შესახებ, სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ჰიტლერელი ბანდიტები, რომლებიც ცდილობდნენ ცილი დაეწამებინათ საბჭოთა ორგანოებისათვის.

აჯამებდა რა ლვოვის ტრაგედიის შედეგებს, საბჭოთა საინფორმაციო ბიურო 1941 წლის 8 აგვისტოს სწერდა:

„ახლა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისათვის სავსებით აშკარაა, თუ როგორ სთითხნიდნენ ამ საშინელ ჭორებს „ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლთა შესახებ“. ათასობით უდანაშაულო ადამიანებს თავს უყრიდნენ მოედნებსა და სტადიონებზე, სადაც მათ აბუჩად იგდებდნენ მთვრალი ფაშისტი ოფიცრები და ჯარისკაცები. ასობით ადამიანებს, უმმაურესად მუშათა საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს, სტახანოველ ქალებსა და კაცებს გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ხვრეტდნენ. გერმანელი მოიერიშეები დაუნდობლად ხოცავდნენ ხიშტით ყველას, ვინც კი გაბედავდა პროტესტი გამოეცხადებინა მშვიდობიანი მოსახლეობისადმი გესტაპოელთა მხეცური მოპყრობის გამო. გამხეცებული ფაშისტი ბანდიტები სახლებში იჭრებოდნენ და იტაცებდნენ ქონებას, აუპატიურებდნენ ქალიშვილებსა და ქალებს, რის შემდეგ მათ ხიშტითა და კონდახით ხოცავდნენ. ფაშისტური ტერორის ასობით მსხვერპლი მთელი ქალაქიდან ერთ ადგილას მიჰყავდათ, შემდეგ ქალაქ ლვოვის მცხოვრებთ დახვრეტის მუქარით თავს უყრიდნენ გვამების დასაფალიერებლად, რომელთაც ფაშისტები „ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლად“ ასაღებდნენ. გერმანელი კინოოპერატორები და ფოტოგრაფები ამ აუარებელი გვამების ფოტოსურათებს იღებდნენ და ყალბ ფილმებს სთითხნიდნენ „ბოლშევიკური მხეცობის“ შესახებ.

ფაშისტურმა პროპაგანდამ მთელ მსოფლიოს მოსდო ამბავი იმის შესახებ, რომ გერმანელებმა ქალაქ ლვოვის აღებისას ვითომდა „ბოლშევიკური მხეცობის“ დამამტკიცებელი საბუთები იპოვნეს. ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ქალაქ ლვოვის მცხოვრებთა — ქალაქში ბატონობის პირველ დღეებშივე ფაშისტების მიერ ჩადენილი საზარელი ბოროტმოქმედების მოწმეთა ჩვენება უდავოდ ამტკიცებს, რომ ჰიტლერული პროპაგანდის ფანტასტიკური მონაჭორი ეგრეთწოდებული „ბოლშევიკური მხეცობის“ შესახებ უხეში ცდა იყო დაემალათ ის უმაგალითო მხეცობა და დაცინვა, რაც თვითონ გერმანელმა ბანდიტებმა ჩაიდინეს ლვოვის მცხოვრებთა მიმართ“. (საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 1941 წლის 8 აგვისტოს ცნობა).

ასეთივე საზიზღარი ჰიტლერული პროვოკაციაა ჩადენილი ამჯერადაც. როგორც ახლა სავსებით გამოირკვა, გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს ყოფილი პოლონელი ტყვეები, რომელნიც 1941 წელს სმოლენსკის დასავლეთით მდებარე რაიონებში იმყოფებოდნენ საამშენებლო სამუშაოზე და სმოლენსკის ოლქის მცხოვრებ ბევრ სხვა საბჭოთა ადამიანთან ერთად ხელში ჩაუვარდათ გერმანელ ფაშისტ ჯალათებს 1941 წლის ზაფხულში, სმოლენსკის რაიონიდან საბჭოთა ჯარების გამოსვლის შემდეგ.

გერმანელებმა მხეცურად დახოცეს ყოფილი პოლონელი სამხედრო ტყვეები და ბევრი საბჭოთა ადამიანი, ახლა კი უნდათ თავიანთი დანაშაულის კვალი დამალონ და იმის იმედით, რომ გამოჩნდებიან გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც ამას დაიჯერებენ, ცდილობენ ახალი მორიგი საზიზღარი მონაჭორით მიჩქმალონ თავიანთი საშინელი ბოროტმოქმედება. ჰიტლერელი სადისტები საქმის გასაოცარი ცოდნით ასწერენ პოლონელი ოფიცრების დახოცვის „დეტალებსა“ და დაწვრილებით ამბებს. მაგრამ რაც უფრო მეტად აქვეყნებენ ამ „დაწვრილებით ცნობებს“, სადაც სადარბაზო ბარათები და პირადობის მოწმობებიც კი გვხვდება, რომლებსაც თითონ ისინი მხეცურად ნაწამებ ოფიცრებს წინდახედულად ულაგებდნენ ტანისამოსის ჯიბეებში, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ჰიტლერელი ჯალათები, რომელთაც ჰიმლერის დილეგების სრული სკოლა გაიარეს, თავიანთ საკუთარ მდიდარ გამოცდილებას ასწერენ. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სწორედ ჰიტლერელები იყვნენ, რომელთაც მხეცურად აწამეს მრავალი ასეული ათასი მუშა, გლეხი, ინტელიგენტი, კერძოდ ოფიცრები, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში და სხვა ოკუპირებულ ქვეყნებში.

ჰიტლერელი ჯალათების საზიზღარი მონაჭორის სრულიად გარკვეული მიზანია დამალონ თავიანთი საზარელი ბოროტმოქმედების კვალი, მიჩქმალონ თავიანთი საკუთარი სისხლიანი დანაშაული, რისთვისაც მათ სასტიკი პასუხისგება მოელით. ჩადენილი სისხლიანი დანაშაულისათვის გარდუვალი მისაზღვეველის ცხოველური შიში სლავებისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ამ პატენტიან ჯალათებს აიძულებს ახალი ყალთაბანდური ხერხები გამოიგონონ, ახალი პროვოკაციები ჩაიდინონ თავის გადარჩენის საშუალების გამოსანახავად. ჰიტლერელები გრძნობენ მთელი პროგრესიული კაცობრიობის უდიდეს მრისხანებას უმწეო მშვიდობიანი მოსახლეობის, კერძოდ, ებრაელთა ხოცვა-ყლეტის გამო, და მთელი ძალღონით ცდილობენ ებრაელთა წინააღმდეგ აამხედრონ გულუბრყვილო და მიამიტი ხალხი. ამ მიზნით ჰიტლერელები რაღაც ზღაპრულ ებრაელ „კომისრებს“ იგონებენ, რომელთაც, ვითომდა, მონაწილეობა მიიღეს 10.000 პოლონელი ოფიცრის მოკვლაში. პროვოკაციის გამოცდილ ოსტატებს არ გაუძნელდებათ მოიგონონ არასოდეს არარსებული ადამიანების რამდენიმე გვარი. ასეთი „კომისრები“ — ლევ რიბაკი, აბრამ ბორისოვიჩი, პავლე ბროდინსკი, ხაიმ ფინბერგი, რომლებიც გერმანიის საინფორმაციო ბიუროს დაასახელა, გერმანელმა ფაშისტმა ყალთაბანდებმა უბრალოდ მოიგონეს, რადგან ასეთი „კომისრები“ არა ყოფილან და არც არიან არც „სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სმოლენსკის განყოფილებაში“ და არც საერთოდ შინსახკომის ორგანოებში. ყოველივე ეს მეტად უხეშად და ტლანქად არის შეთითხნილი, რომ შეიძლებოდეს ასეთი ზღაპრების სინამდვილის თუნდაც ნასახად მიჩნევა, და მეტად შესაზარია, რომ შეიძლებოდეს თუნდაც იოტის ოდენად და რაიმე ფორმით გამოჩენა სოლიდარობისა ამ საზიზღარი საქმისადმი.

ამ ფაქტების თვალსაზრისით, პოლონეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს მიმართვა საერთაშორისო წითელი ჯვრისადმი არ შეიძლება შეფასებულ არ იქნას ისე, თუ არა ჰიტლერელი პროვოკატორებისადმი პირდაპირი და აშკარა დახმარება საზიზღარი ყალბი საბუთების ფაბრიკაციის საქმეში. ყველა სოდომოზროვნე ადამიანს და განსაკუთრებით იმას, ვისაც თვითონ გამოუცდია ჰიტლერული ტირანიის კოშმარი, მარტოოდენ ზიზღი შეუძლია მოჰგვაროს ასეთმა ყალბმა საბუთებმა.

პოლონელი ხალხი, ისევე როგორც თავისუფლებისმოყვარე სხვა ხალხები, არასოდეს არ აპატიებს გერმანელ ფაშისტ ჯალათებს მათ სისხლიან ბოროტმოქმედებას. მთელმა მსოფლიომ იცის, თუ რად გადააქციეს ჰიტლერელებმა პოლონეთი, თუ როგორ აწამეს ჰიტლერელებმა პოლონელი ხალხი, რომელსაც ჰიტლერელი ჯალათები სისტემატურად ქლეტენ და მონებად მიჰყავთ გერმანიის კატორღაში.

პოლონელი ხალხი უკუაგდებს ჰიტლერელთა ცილისწამებას მოძმე საბჭოთა ხალხის მიმართ, რომელმაც მთელ მსოფლიოს უჩვენა გმირობის, ვაჟკაცობისა და კეთილშობილების სასწაულები. ის პოლონელები კი, რომელნიც ხალისით ებღაუჭებიან ჰიტლერელთა ყალბ საბუთებს, მხარს უჭერენ მათ და მზად არიან ითანამშრომლონ პოლონელი ხალხის ჰიტლერელ ჯალათებთან, ისტორიაში შევლენ, როგორც კაციჭამია ჰიტლერის თანაშემწენი. პოლონელი ხალხი ზურგს შეაქცევს მათ, როგორც ისეთ ადამიანებს, რომელნიც ხელს უწყობენ პოლონეთის მოსისხლე მტერს—ჰიტლერს.

„პრავდის“ მოწონავე, 19/IV.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 აპრილის ღამის ცნობა

17 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ყუბანში მოწინააღმდეგის ერთი პოლკი ქვეითი ჯარი ღამით კონტრიერიშზე გადმოვიდა. გვარდიელებმა, ამხ. რუბანიუკის მეთაურობით, ახლო მანძილზე მოუშვეს კოლონებად მომავალი მთვრალი ჰიტლერელები, შემდეგ კი ყველა სახის იარაღის ორგანიზებული ცეცხლი დაუშინეს. ნაღმსატყორცნების ზალპები თავს დაატყდნენ მოწინააღმდეგის კოლონებს. ბევრი ჰიტლერელი მოსპობილ იქნა, დანარჩენებმა კი უწესრიგოდ დაიხიეს უკან. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა, იგერიებდნენ რა მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს, გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი გაჟლიტეს. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 5 ტანკი.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენი ქვეგანაყოფები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ერთ უბანზე გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია ჰიტლერელთა რაზმი, რომელიც ცდილობდა ბრძოლით ეწარმოებინა დაზვერვა. ჩვენი პოზიციების წინ მოწინააღმდეგმ თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 60 გვამი დასტოვა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის დაჯგუფებაზე. მოსპობილია 200-მდე ჰიტლერელი და 8 ავტომანქანა სამომარ მასალიანად.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით დნგრეულია გერმანელთა 12 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, ჩახშობილია 1 საარტილერიო და 5 სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი, აფეთქებულია მოწინააღმდეგის 1 საწყობი სამომარი მასალა. 6 ნაწილის სნაიპერებმა 35 ჰიტლერელი გაჟლიტეს.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ბატარიამ, რომლის მეთაურიც არის უფროსი ლეიტენანტი ჩირკოვი, მოსპო გერმანელთა 3 სანაღმტყორცნო ბატარია, მათ შორის ექვსლულიანი ნაღმსატყორცნების ბატარია. სხვა უბანზე მზვერავთა ჯგუფი, უფროს სერჟანტ ვასილ პოზდნიაკოვის მეთაურობით, ღამით მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიპარა და იერიში მიიტანა გერმანელთა საყარაულო რაზმზე. მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

მოგილიოვის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში ააფეთქა და ლიანდაგიდან გადაგდო მოწინააღმდეგის 8 სარკინიგზო ეშელონი. მარცხების შედეგად დამტვრეულია 98 პლატფორმა ტანკებიანად და ავტომანქანებიანად და 23 ვაგონი სურსათიანად. ბელორუსთა სხვა რაზმის პარტიზანებმა მოაწყეს 2 ორთქლმავლისა და 20 საკლასო ვაგონისაგან შემდგარი სამხედრო ეშელონის მარცხი. მატარებლის მარცხის დროს მოკლული და დაჭრილია 100-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

ტყვე ფელდფებელმა, გერმანელთა მე-4 საჰაერო ფლოტის მფრინავმა, ვილჰელმ რისტმა განაცხადა: „აღმოსავლეთის ფრონტზე მე მოვედი 1943 წლის იანვრის დასაწყისში აფრიკიდან. ორჯერ—11 და 18 იანვარს გამოფრინდი სტალინგრადისაკენ გარშემორტყმული გერმანელთა ჯარებისათვის განკუთვნილი სურსათითა და სამომარხ მასალებით. სტალინგრადთან გერმანელთა არმიამ ყველაზე დიდი დამარცხება განიცადა. იქ, მდინარე ვოლგასთან, სრული კრახი განიცადა 1942 წლის ზაფხულის ლაშქრობის ყველა გეგმამ. ეფიკასური ტოტალური მობილიზაცია ვერ შეცვლის სტალინგრადთან დალუპულ გაწრთვნილ, გამოცდილ და ბრძოლებში გამოწრთობილ ჯარისკაცებს. ტუნისში რომმელის არმიის წინაშე დასმულია ამოცანა—რადაც უნდა დაუჯდეს, გასძლოს რაც შეიძლება მეტხანს. ბევრი მფრინავი ფიქრობს, რომ რომმელის არმია აუცილებლად დაიღუპება. იტალიელებს არა სურთ იომონ. ისინი მთელი ქვეგანაყოფებით გადადიოდნენ ინგლისელთა მხარეზე. მე ხშირად მსმენია ასეთი განცხადებანი: „ჩვენთვის, იტალიელებისათვის, სჯობია ინგლისელთა ტყვეობაში ვიყოთ, ვიდრე გერმანელთა ჩექმის ქვეშ ვიმყოფებოდეთო“.

18 აპრილის საღამოს ცნობა

18 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

განსაკუთრებული ყურადღება მანძილზე, 11-დან 17 აპრილამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსახლეობილია გერმანელთა 302 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 103 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

17 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 20 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აააფეთქეს მოწინააღმდეგის 2 საწყობი სამომარ მასალა, ჩაახშეს 10 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი, დაამსხვრიეს სარკინიგზო ეშელონი.

* * *

ყუბანში ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს. ერთ უბანზე 6 შენაერთის მებრძოლებმა რამდენიმე დღის წინათ დაიკავეს მაღლობი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს გერმანელებმა 7-ჯერ მოიტანეს იერიში და ცდილობდნენ კვლავ დაეკავებინათ ეს მაღლობი. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულია. მარტო დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ ამ უბანზე დაჰკარგა მოკლულთა სახით 1.400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა ფრონტის სხვა უბანზეც, სადაც გერმანელებმა იერიშზე გადმოიყვანეს ორ პოლკზე მეტი ქვეითი ჯარი. ქვეითი ჯარის ნაწილების მოქმედებას მოწინააღმდეგე ავიაციის დიდ ძალებს ეხმარდა. ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც ამ პოზიციებს იცავენ, მოიგერიეს მტრის იერიშები და მძიმე ზარალი მიაყენეს მას. არაჩვეულებრივ ცნობებით, ჩამოგდებულია გერმანელთა 25 თვითმფრინავი და დაზიანებულია 8 თვითმფრინავი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენ ნაწილები გაგანგრძობდნენ დაკავებული პოზიციების გაუმჯობესებას. საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი. ჩახშობილია მტრის 1 სანაღმტყორცნო და 2 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი.

ჩვენმა მფრინავებმა დაბომბეს მტრის აეროდრომი. მოსპობილი და ნაწილობრივ დაზიანებულია გერმანელთა 30-მდე თვითმფრინავი და დამწვარია 1 საწყობი საწვავი.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენმა ქვეგანაყოფმა, რომელიც ბრძოლით აწარმოებდა დაზვერვას, გაანადგურა 80 ჰიტლერელი. საბჭოთა არტილერიის ცეცხლით დნგრეულია მტრის 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი და დამტვრეულია 16 საზიდარი ტვირთიანად.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა ჩაახშეს გერმანელთა 2 საარტილერიო ბატარიისა და 2 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნის ცეცხლი. 70 კაცისაგან შემდგარი გერმანელთა რაზმი ცდილობდა დაეზვერა ჩვენი თავდაცვის წინა კიდე. ჰიტლერელებს თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს, მათ უწესრიგოდ დაიხიეს უკან და ბრძოლის ველზე დასტოვეს 40 გვამი.

* * *

ლენინგრადის მისადგომებზე საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 6 ბომბდამშენი „იუნკერს-88“. გარდა ამისა, ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი.

* * *

გერმანიის გრენადერთა 32-ე დივიზიის 94-ე პოლკის მე-8 ასეულის ობერ-ეფრეიტორმა, ტყვედ წამოყვანილმა კურტ კოსვეიერმა განაცხადა: „ქალაქ გრაუდენცში (პოლონეთი) მე ხაშნელი სცენის მოწმე ვიყავი. ჩემ თვალწინ დახვრიტეს ასობით მშვიდობიანი პოლონელი მოქალაქე. შუადღისას „სს“-ელებმა გაამწკრივეს შიშისაგან შეშლილი ადამიანები და რიგრიგობით ხვრეტდნენ მათ. ამ შემაძრწუნებელი სურათის მოწმე იყო ადგილობრივი გარნიზონის ძალიან ბევრი ჯარისკაცი“.

* * *

საბერძნეთში ფართოვდება პარტიზანული მოძრაობა. ამას წინათ პარტიზანები თავს დაესხნენ იტალიელთა მოტორიზებულ კოლონას. გაჩაღებულ ბრძოლაში ბერძენმა პატრიოტებმა მოსპეს 57 იტალიელი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 7 ავტომანქანა. 5 ტყვიამფრქვევი და დიდძალი ვაზნა. პირეის ნავსადგურში პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს იტალიის სატვირთო გემს.

19 აპრილის ცნობა

18 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ყუბანში 5 ნაწილის მებრძოლები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს რა გუშინდელი დღის განმავლობაში, გერმანელებმა ახალ ძალებად მოუყარეს თავი და იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. ერთ უბანზე ჰიტლერელებმა თავდასპირველად მოახერხეს ჩვენს სანგრებში შემოჭრილიყვნენ. გაიფთრებული ბრძოლის შედეგად, რომელიც ალაგ-ალაგ ხელჩართულ ჭიდაკებად იქცა, მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა, ამასთან მას დიდი ზარალი მოუვიდა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე. დანგრეულია მტრის 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი, აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი და მოსპობილია სანაღმტყორცნო ბატარია. იმ ქვეგანაყოფის სნაიპერებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. სოკოლოვი, გაჟლიტეს 21 ჰიტლერელი.

* * *

იზიუმის სამხრეთით 6 ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ღამით ხელთ იგდეს ხელსაყრელი ზღუდე, რომლისათვის ბრძოლაში მოსპობილია 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე 5 ნაწილის არტილერისტებმა გაჰფანტეს მოწინააღმდეგის თავმოყრილი ქვეითი ჯარი და აფეთქეს 1 საწყობი სამომარი მასალა. სხვა უბანზე ჩვენი სნაიპერების ორი ჯგუფი ჩასაფრდა მოწინააღმდეგის ზურგში და გაჟლიტა 87 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები საარტილერიო სროლას ეწეოდნენ. ჩახშობილია მოწინააღმდეგის 10 საარტილერიო და 6 სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი. მოსპობილია გერმანელთა 5 ქვემეხი, 4 ნაღმსატყორცნი და აფეთქებულია ორი საწყობი სამომარი მასალა. 6 ნაწილის მზვერავები გაას შემოერტყნენ 30 კაცისაგან შემდგარ ჰიტლერელთა ჯგუფს და მოსპეს იგი.

* * *

ეკრაინელ პარტიზანებმა — რაზმის თავმჯდომარეა გერმანელთა დიდ გარნიზონში ხუთი საათის ბრძოლაში პარტიზანებმა მოსპეს 87 ჰიტლერელი და ტყვედ ამოიყვანეს 94 პარტიზანებმა — ზამოიტის დივიზიონ 2 ქვემეხი 5 ნაღმსატყორცანი, 18 ტყვიამფრქვევი, 140 ზაშხანა, დიდძალი სამომარ მასალა და საჭურველი. ქიტომირელი პარტიზანების რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდო მოწინააღმდეგის 7 სამხედრო ეშელონი. დამსხვრეულია 7 ორთქლმავალი და 71 ვაგონი. ვაგონების ნანგრევებში დაიღუპა მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობის შესახებ, რაც ჩაიდინეს გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა კრასნოდარის მხარის სტანიცა ლაბინსკაიაში: „ჰიტლერელმა ბანდიტებმა აწამეს და დახვრიტეს სტანიცა ლაბინსკაიას მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები. გერმანელი დამპყრობლებისაგან სტანიცის განთავისუფლების შემდეგ განვლილი თვენახევრის მანძილზე აეროდრომისა და ვაგზლის რაიონის სანგრებსა და ორმოებში. აგრეთვე ჭტს-ის ეზოში და სხვა ადგილებში აღმოჩენილია გერმანელთა მიერ წამებით მოკლული 1.316 საბჭოთა მოქალაქის გვამი. მათ შორის 793 ქალი. 229 მამაკაცი და 294 ბავშვი. საექიმო შემოწმებამ ცხადჰყო, რომ სიკვდილით დასჯის წინ ჰიტლერელებმა მხეცურად აწამეს დაპატიმრებულნი. 600 გვამისა დაგლეჯილი და დასახჩრებული, რომ მათი გამოცნობა შეუძლებელია“. აქტს ხელს აწერენ: ა. ნიკიტინი, ნ. ერიკეინკო, ლ. ლაპინი, მ. ვასიუკოვი, ექიმები—მ. დიაკოვა, ა. ხლებოვიჩი.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა ქალაქ ჩაინიჩის რაიონში დიდი ზარალი მიაყენეს იტალიელთა დივიზიას. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დივიზიის მთელი აღალი, არქივი. იტალიელთა მე-4 პოლკის ფაშისტ ოფიცრებმა — ბერსალიერთა — ბრძოლაში ჩამოგდებულნი. 600 გვამი ისეა დაგლეჯილი და დასახიჩრებული, რომ მათი გამოცნობა შეუძლებელია“. აქტს ხელს აწერენ: ა. ნიკიტინი, ნ. ერიკეინკო, ლ. ლაპინი, მ. ვასიუკოვი, ექიმები—მ. დიაკოვა, ა. ხლებოვიჩი.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა ქალაქ ჩაინიჩის რაიონში დიდი ზარალი მიაყენეს იტალიელთა დივიზიას. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დივიზიის მთელი აღალი, არქივი. იტალიელთა მე-4 პოლკის ფაშისტ ოფიცრებმა — ბერსალიერთა — ბრძოლაში ჩამოგდებულნი. 600 გვამი ისეა დაგლეჯილი და დასახიჩრებული, რომ მათი გამოცნობა შეუძლებელია“. აქტს ხელს აწერენ: ა. ნიკიტინი, ნ. ერიკეინკო, ლ. ლაპინი, მ. ვასიუკოვი, ექიმები—მ. დიაკოვა, ა. ხლებოვიჩი.

* * *

ეკრაინელ პარტიზანებმა — რაზმის თავმჯდომარეა გერმანელთა დიდ გარნიზონში ხუთი საათის ბრძოლაში პარტიზანებმა მოსპეს 87 ჰიტლერელი და ტყვედ ამოიყვანეს 94 პარტიზანებმა — ზამოიტის დივიზიონ 2 ქვემეხი 5 ნაღმსატყორცანი, 18 ტყვიამფრქვევი, 140 ზაშხანა, დიდძალი სამომარ მასალა და საჭურველი. ქიტომირელი პარტიზანების რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდო მოწინააღმდეგის 7 სამხედრო ეშელონი. დამსხვრეულია 7 ორთქლმავალი და 71 ვაგონი. ვაგონების ნანგრევებში დაიღუპა მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობის შესახებ, რაც ჩაიდინეს გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა კრასნოდარის მხარის სტანიცა ლაბინსკაიაში: „ჰიტლერელმა ბანდიტებმა აწამეს და დახვრიტეს სტანიცა ლაბინსკაიას მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები. გერმანელი დამპყრობლებისაგან სტანიცის განთავისუფლების შემდეგ განვლილი თვენახევრის მანძილზე აეროდრომისა და ვაგზლის რაიონის სანგრებსა და ორმოებში. აგრეთვე ჭტს-ის ეზოში და სხვა ადგილებში აღმოჩენილია გერმანელთა მიერ წამებით მოკლული 1.316 საბჭოთა მოქალაქის გვამი. მათ შორის 793 ქალი. 229 მამაკაცი და 294 ბავშვი. საექიმო შემოწმებამ ცხადჰყო, რომ სიკვდილით დასჯის წინ ჰიტლერელებმა მხეცურად აწამეს დაპატიმრებულნი. 600 გვამი ისეა დაგლეჯილი და დასახიჩრებული, რომ მათი გამოცნობა შეუძლებელია“. აქტს ხელს აწერენ: ა. ნიკიტინი, ნ. ერიკეინკო, ლ. ლაპინი, მ. ვასიუკოვი, ექიმები—მ. დიაკოვა, ა. ხლებოვიჩი.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა ქალაქ ჩაინიჩის რაიონში დიდი ზარალი მიაყენეს იტალიელთა დივიზიას. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დივიზიის მთელი აღალი, არქივი. იტალიელთა მე-4 პოლკის ფაშისტ ოფიცრებმა — ბერსალიერთა — ბრძოლაში ჩამოგდებულნი. 600 გვამი ისეა დაგლეჯილი და დასახიჩრებული, რომ მათი გამოცნობა შეუძლებელია“. აქტს ხელს აწერენ: ა. ნიკიტინი, ნ. ერიკეინკო, ლ. ლაპინი, მ. ვასიუკოვი, ექიმები—მ. დიაკოვა, ა. ხლებოვიჩი.

* * *

ეკრაინელ პარტიზანებმა — რაზმის თავმჯდომარ

სიმართლე გაიმარჯვებს!

(„პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტის საუბარი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფი ჩეხოსლოვაკიის ჯარის ნაწილების მეთაურთან, პოლკოვნიკ ლ. სვობოდასთან)

„პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი პ. ლიდოვი ეწვია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა იმ ნაწილებს, რომლებიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, და ესაუბრა მათს მეთაურს, პოლკოვნიკ ბ-ნ ლუდვიგ სვობოდას.

„პრავდის“ კორესპონდენტისათვის მიკვეთილი ინტერვიუ პოლკოვნიკმა სვობოდამ შემდეგი სიტყვებით დაიწყო:

— მე ვამაყობ იმით, რომ მე და ჩემს ამხანაგებს წილად გვხვდა ბედნიერება წითელი არმიის მხარდამხარ გამოვსულიყავით თავისუფლებისმოყვარე კოალიციის მონაწილეობად საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩეხოსლოვაკიელ ვერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობენ აგრეთვე ფრანკაშიც, ახლო აღმოსავლეთშიც და დიდი ბრიტანეთიც, სამეფო საჰაერო ფლოტის რიგებშიც. მაგრამ განსაკუთრებით საპატიოდ მიგვაჩნია ჩვენთვის ის გარემოება, რომ გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლა გვიხდება სწორედ აღმოსავლეთის ფრონტზე. ე. ი. იქ, სადაც ომის შედეგი და ხალხთა ბედი წყდება.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე ევროპის დამპყრობელთა—გერმანელთა წინააღმდეგ რომ ვიბრძვით, ჩვენ ვიცით, რომ არა მარტო სამშობლოში დარჩენილი ჩეხოსლოვაკები, არამედ ევროპის ყველა ხალხებიც ჩვენთან არიან ფიქრით.

ჩეხოსლოვაკები თავიანთი სამშობლოს მხურვალე პატრიოტები არიან, მათ მთელი თავიანთი არსებით სძულთ საუკუნეობრივი დამპყრობლები და თავისუფლების მტერი—გერმანელი დამპყრობნი. ჩეხოსლოვაკისათვის სიტყვა „მიუნხენთან“ დაკავშირებულია ეროვნული სირცხვილისა და გლოვის მძიმე კოლაფთან. 1938 წელს, ჩემს თვალწინ ჩეხოსლოვაკი ოფიცრები ჯარისკაცებს უბრძანებდნენ უბრძოლველად დაეტოვებინათ სიმაგრეები გერმანიის საზღვარზე. ზოგიერთმა მათგანმა ეს დამცირება ვერ აიტანა და იქვე მოიკლა თავი. მე მერჩივნა პრაღის ნაცვლად ნაზგრეგები მენახა, თუნდაც ისეთი, როგორიც ამის წინათ ვნახე ხარკოვი. ოღონდ არა ვყოფილიყავი იმის მოწმე, თუ როგორ უღებდა ბოლოს ჩეხოსლოვაკიის არმია თავისთავს თავზედ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სამეპლად.

ჩეხოსლოვაკი არასოდეს არ დაივიწყებს იმას, რომ ჩვენი სამშობლოსათვის ძმური დღეებში საბჭოთა კავშირმა პირველმა მოგვცა ჩვენი საზღვრების გარანტია იმ შემთხვევისათვის, თუ შეიარაღებული შევებრძოლებოდით აგრესორს. ჩეხოსლოვაკი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმასაც, რომ ახლანდელ ომში წითელმა არმიამ აიტანა ჩვენი მტრის პირველი და ყველაზე მძიმე დარტყმები და აგერ უკვე ოცდამეორე თვეა მარტოდ მარტო ეწევა მასთან უმაგალითო, ლომისებურ ბრძოლას და იცავს ევროპის ხალხთა მომავალს. სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფი ჩვენი თანამემამულენი დიდად აფასებენ შესაძლებლობას, რომელიც მათ მიეცათ, იარაღით იბრძოლონ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ; მათ თვალში ეს არის მათი წმიდა ვალის შესრულება თავიანთი ხალხისა და შელახული სამშობლოს წინაშე.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფი ჩეხოსლოვაკთა საბრძოლო ერთეულები რესპუბლიკის არმიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, და მათ ხელმძღვანელობას უწევს ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდალი დოქტორი ედუარდ ბენეში. ჩვენი ნაწილები თავიანთ კადრებს ივსებენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩეხოსლოვაკთაგან. ნაწილებში შინაგანი ცხოვრება აგებულია ჩეხოსლოვაკიის არმიის წესდებათა საფუძველზე, ხოლო საბრძოლო მოქმედება—წითელი არმიის სათანადო წესდებათა საფუძველზე. საშინაო საქმისწარმოება ჩეხურ ენაზე მიმდინარეობს.

ჩვენს ნაწილებში მსახურობენ ჩეხოსლოვაკიის ქალშვილრდმნი. ჩეხები, სლოვაკები, მორავები, კარპატისპირა რუსინები, ებრაელები და სხვანი, რომელნიც გაერთიანებული არიან საერთო მისწრაფებით—რაც შეიძლება მალე გაანადგურონ მტერი, არმიაში არავითარი ეროვნული გარჩევა არ არსებობს. სარწმუნოებრივი საკითხებიც თითოეული ჯარისკაცისა და ოფიცრის უაღრესად კერძო საქმეს წარმოადგენს. სამწყობრო ქვეგანაყოფებსა და სათანადო შტაბებს გარდა ჩვენ გვაქვს მომარაგების ქვეგანაყოფები, საველე სასამართლო და ოფიცერთა ინსტიტუტი განათლების ხაზით. ის უკანასკნელნი, სარდლობის ხელმძღვანელობით, ინფორმაციას უკეთებენ პირად შემადგენლობას მიმდინარე ამბების შესახებ და უნერგავენ მას მორალურ თვისებებს.

ჩვენს აღზრდის მიზნად აქვს დასახული განამტკიცოს მზედრული დისციპლინა, კიდევ უფრო მეტად განუთანაოს მებრძოლთ მიწინაარდეგისადმი სიძულვილის და ჩვენი მოკავშირეებისადმი მეგობრული გრძნობა, მტკიცე გადაწყვეტილება—იბრძოლონ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ მანამდე, სანამ სრულიად არ იქნებიან განთავისუფლებულნი ფაშისტების მიერ დამონებული ყველა ხალხები.

ჩეხოსლოვაკიის არმიაში ჩვენ პირველად დავუშვით ატიფარ სამხედრო სამსახურში მოხალისე ქალიშვილები, რომელთაც ჯერჯერობით უნარი გამოიჩინეს საბრძოლო ვითარებაში.

ჩვენი ნაწილის საბრძოლო დროშაზე, რესპუბლიკის დიდ ღირებულებით ფერებით მოვარაყებულია დიდი ჩეხი ადამიანის ეს ჰუსის სიტყვები: „სიმართლე გაიმარჯვებს!“ და ჩვენ გვწამს, რომ ეს სწორედ ასეც იქნება.

ჩეხოსლოვაკები თავიანთ სამშობლოში და უცხოეთში უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მყოფი ერთ-ერთი ჩვენი ნაწილი უკვე შეება მოწინააღმდეგეს.

ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილი საუცხოოდ შეიარაღებული და ჩვენი არმიის გამოდილი კადრის ოფიცრებით დაკომპლექტებული წავიდა ფრონტზე. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ის ნდობა, რომელსაც ჩვენდამი იჩენს წითელი არმიის სარდლობა. როცა ქალაქ ნასათვის მძიმე წუთებში გენერალთან გამოვცხადდი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ქალაქის დაცვას, იგი ჩემს დედაენაზე წარმოთქმული სიტყვებით შეხვდა: „ნაზდარ, პანე პოლკოვნიკუ!“ მე ერთბაშად ვიგრძენ ჩემი თავი საბჭოთა სარდლობასთან ძმური მჭიდრო თანამშრომლობის ატმოსფეროში. მალე ეს ძმობა სისხლით იქნა განმტკიცებული.

ჩემს ნაწილს თავდაცვის უაღრესად პასუხსაგები უბანი ჩაბარეს და დამოუკიდებელი ამოცანა დაუსახეს. მე შემომიერთეს და ოპერატიული მხრივ დამიქვემდებარეს წითელი არმიის ცალკეული ქვეგანაყოფები და დამატებითი საცეცხლე საშუალებანი, რომელთაც უფრო ეფექტური გაზადეს ჩვენი დაცვა. მაგალითად, ჩვენი ოფიცრები და ჯარისკაცები გულწრფელ აღტაცებას გამოსთქვამენ გვარდიის უფროს ლეიტენანტ გონჩარენკოს გვარდიის ნაღმსატყორცნის ქვეგანაყოფის მოქმედების გამო, რომელიც ჩვენ შემოგვეერთეს.

ჩემი მეზობლები იყვნენ გვარდიის ნაწილები. საბჭოთა გვარდიელები ჩვენთვის მამაცობისა და მოხერხების მაგალითს წარმოადგენდნენ ბრძოლაში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ რუსთა სახელოვან გვარდიასთან მხარდამხარ ვიბრძოდით.

ჩეხოსლოვაკიის ნაწილსა და წითელი არმიის სხვადასხვა გვარეობის იარაღის ნაწილებს შორის ურთიერთმოქმედება ყველა შემთხვევაში უნაკლო იყო. წითელი არმიის მებრძოლნი და მეთაურები სიმპატიასა და მეგობრობას აჩენენ ჩვენს მიმართ, რუსი და უკრაინელი მოსახლეობა კი ყველგან უადრესად გულთბილ მზრუნველობას იჩენს ჩვენდამი.

ჩვენ ვცდილობთ, რითაც კი შეგვიძლია, გადაეუხადოთ ჩვენს მოკავშირეებსა და ძმებს. მაგალითად, ჩვენი ნაწილის სამედიცინო პერსონალმა შეძლო 100-ზე მეტი დაჭრილი საბჭოთა მებრძოლისა და მეთაურისათვის გაეწია დახმარება ბრძოლის ველზე.

ბრძოლის ცეცხლში ჩეხოსლოვაკები არ შეშფოთებულან—ისინი ყმირულად იბრძოდნენ არც ერთი მტკაველი მიწა არ დაუთმეს მტერს და ყმირულად დაიუფლნენ ნადპორუჩიკი იაროში, ნადპორუჩიკი ლომი. როტმისტრი სტეისკალი, ათისთავი შმოლიკი, სვობოდნიკი შაიგლი, ჩეტარეი კურტ ვოლფი და სხვანი. მათ თავი დასდეს თავიანთი საყვარელი სამშობლოსათვის — ჩეხოსლოვაკიისათვის.

ჩვენმა ნაწილმა მარტო ერთ ბრძოლაში გერმანელთა 19 ტანკი და 6 ტრანსპორტერი დაიხიანა და მტრის 400-მდე მეავტომატე გაეწლტა.

გერმანელებმა ჩვენი პირველი დარტყმები იგემეს. ჩეხოსლოვაკებმა მტრის მოძალება შეაკავეს და შეინარჩუნეს ზღუდე, რომლის დაცვაც მათ მიანდეს. ამ დარტყმების ძალა გამუდმებით გაიზრდება, ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ბოლომდე ვიბრძოლოთ და არ დავკმაყოფილდებით იმით, რომ გერმანელი ოკუპანტებისაგან გავათავისუფლოთ ჩვენი სამშობლო და ჩვენი საყვარელი დედაქალაქი პრაღა. ჩვენ ბრძოლას განვაგრძობთ მანამდე, სანამ სავსებით არ იქნებიან მოსპობილნი დამპყრობნი და სანამ ნაცისტთა ჩაგვრისაგან არ იქნებიან განთავისუფლებული ევროპის ყველა დამონებული ხალხები.

მე, ჩეხოსლოვაკიის მოქმედ ნაწილში მუშაობასთან ერთად, ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი სარდლობის დავალებით, ზურგში ახალი საბრძოლო ერთეულების შექმნასა და სწავლებაზე ვმუშაობ. პირველ ბრძოლებში მიღებული გამოცდილება და ის გარემოება, რომ ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი და გამოწაფული კადრები გვყავს, საშუალებას მოგვცემს რაც შეიძლება მოკლე ვადაში განვახორციელოთ ეს ამოცანა. ჩვენ იმისაკენ მივისწრაფით, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის უკლებლივ ყველა მოქალაქე, რომელიც კი სსრ კავშირში ცხოვრობს და იარაღის ხმარებაც უნარი აქვს, ჩვენს ნაწილებში შემოკრებეს, სათანადო მომზადება მიიღოს და რაც შეიძლება მალე გაემართოს ფრონტისაკენ.

* * *

საუბრის დასასრულს პოლკოვნიკმა ლუდვიგ სვობოდამ მოხოვა სსრ კავშირში მყოფ ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილის ოფიცრებისა და ჯარისკაცების ძმური სალამი გადაეცა „პრავდის“ მკითხველებს.

ჯ. ლიდოვი

მოქმედი არმია.

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ უხვი სამხედრო მოსავლისათვის

გეღადის მისაღმებას შრომითი მამაცობით უპასუხებენ

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამხანაგმა სტალინმა წითელ არმიაზე ზრუნვისათვის ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა შემოუთვალა ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ორდენოსან ვასო ჯაბუას, ამავე კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველს მედალოსან ლიუდი ხურციძეს და გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აკაკი მალაზონიას.

დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის მისასალმებელმა დეპეშამ ახალი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია რაიონის კოლმეურნეობებში. ნატანების და გურიანთის კოლმეურნეობებში შესდგა სახელდახელო მიტინგები. ნატანებელ კოლმეურნეთა მიტინგზე მოწინავე ბრიგადირმა ვარლამ გობრონიძემ სთქვა: თითოეული ჩვენგანი ამაყობს, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში საყვარელი სტალინისაგან ორი დეპეშა მოვიდა; ეს გვავალებს ვიმუშაოთ წელს უკეთესად, ვიდრე შარშან, უფრო მეტად გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება. ბელადის პასუხით აღფრთოვანებულმა ლიუდი ხურციძემ პირობა დასდო, რომ წელს გამოიმუშავებს 900 შრომადღეს, მოჰკრეფს 15 ათას კილოგრამ ჩაის; მწვანე ფოთოლს, თავისი მუშაობის გამოცდილების გაზიარებით აღზრდის ხუთ სტახანოველ მკრეფელს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჯაბუამ მთელი კოლმეურნეობის სახელით იკისრა ვალდებულებები 1 მაისისათვის დაამთავროს ერთწლიანი კულტურების თესვა. გეგმის გადაჭარბებით დასთესოს 30 ჰექტარი და მიაწოდოს ჰექტარზე სულ მცირე 20 ცენტნერი მოსავლის მიღებას, ჩაის კრეფისათვის საუკეთესოდ მომზადებით წელს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 50.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

გურიანთელმა კოლმეურნეებმა აიღეს ვალდებულება შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვან ჩაატარონ თესვა, 1 მაისისათვის შეასრულონ სახელმწიფო ვალდებულებანი და მაქსიმალურად გაადიდონ მოსავალი.

ორივე კოლმეურნეობაში გაჩაღებულია სიმინდის თესვა. გურიანთის კოლმეურნეობაში 13 მარტს თესვაზე გამოყვანილი იყო 76 ულელი ხარი, მინდვრად მუშაობდა 200-ზე მეტი ქალი. ამ დღეს გეგმით გათვალისწინებული 18 ჰექტარის ნაცვლად დაითესა 25 ჰექტარი. ნატანების კოლმეურნეობაში ყველა ბრიგადამ და რგოლმა დღიური დავალებები დიდი გადაჭარბებით შეასრულა. იპოლიტე ხურციძის ბრიგადამ დღიური დავალება 140 პროცენტით შეასრულა.

ბელადის დეპეშით აღფრთოვანებული მახარაძელი კოლმეურნეები ყველაფერს გააკეთებენ ფრონტის დასახმარებლად, გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა გასანადგურებლად.

ლ. ლოლაძე

მგკიცედ დავიცვათ აგროტექნიკური წესები

საჩხერე („კომუნისტის“ საკ. კორ.). საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფ. საირხის ფ. მახარაძის სახელობის სოფ. სავანის სტალინის სახელობის, სოფ. გოგოლაძეების ორჯონიკიძის სახელობის და სხვ. კოლმეურნეობებზე. სოფ. საირხის კოლმეურნეობის ბრიგადები, რომლებსაც ალ. კურტანიძე, ვლ. სოფრომაძე და ა. შუკაკიძე ხელმძღვანელობენ, თესვის გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. ამ ბრიგადებმა 8-10 დღეში დაამთავრეს საგაზაფხულო კულტურების, თესვა და ახლა მეზობელ ბრიგადებს ეხმარებიან. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ სტახანოველი კოლმეურნეები ამბ. გრიგოლ, გერვასი, პლატონ კურტანიძეები, ზ. შუკაკიძე, ბ. სადუნიშვილი, ს. ვეშაპიძე.

თესვა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე სოფ. გოგოლაძეების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. განსაკუთრებული თაოდადებით მუშაობენ მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე ბრიგადები, რომლებსაც ამბ. კილაძე, კაპანაძე, ბასილაძე და მეგრელიშვილი ხელმძღვანელობენ. ისინი სწრაფად და მაღალხარისხოვნად სთესავენ.

მაგრამ არიან ბრიგადები, სადაც ზერელედ ხნავენ, უხარისხოდ სთესენ, აგრონომიულ წესებს არ იცავენ. ასეთებია სოფ. ჩიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე და მეცხრე ბრიგადები, რომლებსაც ე. ცუხიშვილი და კ. ფარეულაძე ხელმძღვანელობენ. მეოთხე ბრიგადაში ზერელედ ხნავენ (ნაცვლად 15 სანტიმეტრისა 8 სანტიმეტრზე), მეცხრე ბრიგადაში, გარდა იმისა, რომ ზერელედ ხნავენ, ხარვეზებს სტოვებენ, ბრიგადირმა კ. ფარეულაძემ უპასუხისმგებლოდ გაანაწილა მართალია გადაუხვნელი ადგილები რჩება, მაგრამ მაინც არაფერი უშავს. ეს მდგომარეობა კოლმეურნეობის აგრონომის დანაშაულიც არის, იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს აგროტექნიკური წესების მტკიცედ დაცვას. ასეთი აგრონომები საჩხერის რაიონში არიან.

გადაჭრით უნდა ამაღლდეს თესვისას აგრონომის როლი. აგრონომი კოლმეურნეობაში იგივეა, რაც ინჟინერი ქარხანაში. მტკიცედ დავიცვათ თესვის აგროტექნიკური წესები, ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად.

პ. ჭიოკაძე

ბოლნისის მტს-ი აღებულ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს

ბოლნისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ბოლნისის მტს-ის მუშაკები წარმატებით იბრძვიან ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მეათე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი ამირ ახმედოვი) დღიურ ნორმებს 170 პროცენტით ასრულებს. ამ ბრიგადის ტრაქტორისტები ს. კურბანოვი და ა. იუზბაშევი ნაცვლად 2,8 ჰექტარისა დღეში ხუთ-ხუთ ჰექტარს ხნავენ. ბრიგადა ყოველდღიურად ზოგავს საწვავს 16 პროცენტის რაოდენობით.

კარგად მუშაობენ აგრეთვე ტრაქტორისტთა მესამე (ბრიგადირი ვეის გამი ოღლი), მეოთხე (ბრიგადირი ანდრიასიანი), პირველი (ბრიგადირი კერვალიძე), მეხუთე (ბრიგადირი საკინცევი), მეცხრე (ბრიგადირი ომაშოვი) ბრიგადები და ტრაქტორისტები: სმოლნიკოვი, ეკობაშვილი, დაბრაულსკი, რეხვიაშვილი, შუკინი და სხვ.

დ. სტეფანია

ხვნის გეგმა შესრულებულია

შირაქის მტს-მა წინასამაისო სოცშეჯიბრების შედეგად 1943 წლის საგაზაფხულო ხვნის გეგმა 15 აპრილისათვის 108,4 პროცენტით შეასრულა—ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.250 ჰექტარისა მოხნულია 2.439 ჰექტარი. გეგმის გადაჭარბებით შესრულებამთავი ისახელეს: სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც პ. ბაინდურაშვილი ხელმძღვანელობს—ხვნის გეგმა 187,5 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 269 კილოგრამი საწვავი, აგრეთვე № 3 ბრიგადამ (ბრიგადირი ალ. ფიცეიანი)—გეგმა შეასრულა 137,8 პროცენტით და დაზოგა 205 კილოგრამი საწვავი, № 4 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი გ. წიკლაური)—გეგმა შეასრულა 136 პროცენტით, № 10 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ლ. ბაინდურაშვილი) —დავალება 129,6 პროცენტით გაანაღდა და 198 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

საგაზაფხულო თესვაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტრაქტორისტები პ. წიკლაური, ნ. მელიქიშვილი, ფ. ყველაშვილი, თამარ ხუცვარაული, ი. უთურგაშვილი.

ხვნა-თესვა გრძელდება.

შირაქის მტს-ის დირექტორი კაჭარავა
პოლიტგანყოფილების უფროსი ჭელიძე

დეპეშები

თურქეთის პრესის გამოხმაურება „იზვესტიაში“ დაბეჭდილ სტატიაზე

„ჰიტლერის ბულგარელი ლაქიები“

სტამბოლი, 17 აპრილი (საკადესი). ყველა თურქულმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილს გამოაქვეყნა 13 აპრილს „იზვესტიის“ სარედაქციო სტატიის „ჰიტლერის ბულგარელი ლაქიების“ შინაარსი.

ცნობილი თურქი ჟურნალისტი ჯაჰიდ იალჩინი კომენტარს უკეთებს ამ სტატიას გაზეთ „ჰაბერში“ და სწერს:

„ამირობის მაგალითი, რაც ბერძნებმა და სერბიელებმა გამოიჩინეს თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ღირსების დაცვისათვის, საფუძველს იძლევა ბულგარეთისათვის უაღრესად არახელსაყრელი შედარებისათვის. ბულგარელებს, ისე როგორც ყოველ ხალხს, შეიძლება ჰქონდეთ ესა თუ ის ნაკლოვანება. მაგრამ ყველა ხალხი ერთგულია თავისი დამოუკიდებლობისა. ჩვენ მეტისმეტად გაგვიკვირდა, როდესაც ბალკანეთში ნაცისტების წინსვლის საფრთხის გამოჩენისთანავე ბულგარულ გაზეთებში გამოჩნდა სტატიები იმის შესახებ, რომ ეს ომი დიდ სახელმწიფოთა საქმეა და პატარა ერებს მეტი არა დარჩენიათ რა, თუ არ დაემორჩილონ დიდ სახელმწიფოებსო. შემდეგ ბულგარეთმა თავი მიწამდე დაჰხარა და მიესალმა გერმანელთა მიერ ოკუპაციას.

როდესაც ამის წყალობით ბულგარელებს ხვდათ პატარა საბერძნეთის ზოგიერთი ტერიტორია, ისინი ამით ამაყობდნენ და ამბობდნენ, ჩვენი მიზნების უმეტეს ნაწილს მივაღწიეთო. სხვისი ტერიტორიის ნაგლეჯები მათ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ღირსების ფასად მიიღეს. ამან მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა უცხოელ მეთვალყურეებზე. ამიტომ ჩვენთვის ადვილი გასაგებია გაზეთ „იზვესტიის“ აღშფოთება. რაც შეეხება ეგრეთწოდებულ გამოაშკარავებას, რაც ბულგარეთის მინისტრთა ხელიდან გამოდის, ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე ლაპარაკიც კი, რომ მას ჩვენს ქვეყანაში არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია და ყველა იმათ, ვინც ღირძის სამსახურში იმყოფება, აქედან მოსალოდნელი სარგებლობა არ მოუღიაო“.

ეხება რა „იზვესტიის“ სტატიის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში თურქეთი უცვლელად ახორციელებს კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკას რუს ხალხთან, იალჩინი სწერს, რომ ეს განცხადება ძალიან დროულია. „ჩვენ,—სწერს ავტორი მუდამ გიყავთ და ვიქნებით ჩვენი დიდი მეზობლის მეგობრები. იმ დღეებში, როდესაც დასავლეთისა და საბჭოთა სამყაროს შორის არსებობდა ფარული თუ აშკარა მტრობა, ჩვენ არასოდეს არ მოგვსვლია ფიქრად დაგვეწყო ინტრიგები სსრ კავშირის წინააღმდეგ. პირიქით, მუდამ ვრჩებოდით რა საბჭოთა კავშირის მეგობრად, ჩვენ ვცდილობდით დამეკავშირებელი რგოლი ვყოფილიყავით ორ მტრულ სამყაროს შორის. იმ მომენტშიც კი, როდესაც ჩვენ კავშირი შეგვკარით დასავლეთის დემოკრატიებთან, ჩვენ ვცდილობდით ამ კავშირისთვის შეგვეერთებინა ჩვენი საბჭოთა მეგობრებიც და კატეგორიულად უარვყავით ისეთი მდგომარეობა, რომელსაც შეეძლო სსრ კავშირთან შეტაკებამდე მიეყვანეთ. ჩვენ გვწამს, რომ ასე კარგად დაწყებული და განგრძობილი კეთილმეზობლური ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება სულ უფრო მზარდი ურთიერთ ნდობისა და გაგების ატმოსფეროში“.

გაზეთი „ენი საბახი“ სარედაქციო სტატიაში, რომელიც მიძღვნილია თურქეთ-ბულგარეთის ურთიერთობისადმი, აგრეთვე ეხება „იზვესტიის“ ამ სტატიას. „თურქი ერი, — სწერს „ენი საბახი“,—არა მტრობს ბულგარელ ერს. მაგრამ ბულგარეთი ცდილობს გაუფუჭოს თურქეთს ურთიერთობა მის მოკავშირეებსა და სხვა მეზობლებთან“.

გაზეთი აცხადებს, რომ აგრესიული განზრახვა თურქეთის მიმართ სწორედ ბულგარეთის მმართველ წრეებს აქვთ. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბულგარელები ტყუილად ელიან რესპუბლიკური თურქეთის მთავრობისაგან გულუბრყვილობას. გაზეთი სწერს, რომ ბულგარელები „მისდევენ პოლიტიკას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არწმუნონ მეგობრობაში და იმავე დროს ზურგს უკან დანა ლესონ. ისინი ფიქრობენ, რომ ამ გზით მოახერხებენ ჩვენს მძლეობას და ამასთანავე დაამთავრებენ თავიანთ მზადებას, ჩვენ წესად გავიხდიდეთ ვიმსჯელოთ არა სიტყვების, არამედ საქმეთა მიხედვით. ბულგარელი სახელმწიფო მოღვაწეები მუდამ გვარწმუნებენ, ბულგარეთი თურქეთის მეგობარიაო, მაგრამ ამ სიტყვებს უარჰყოფენ მათივე საქმენი. ბულგარეთის პრემიერმა ფილოვმა განაცხადა, ბულგარეთმა თითქმის საესებით აღადგინა თავისი საზღვრებიო. ამავე აზრს არა ერთგზის გაუსვამს ხაზი ბულგარეთის ოფიციოზმა „ლა პაროლ ბიულგარ“. ჩვენს შეკითხვაზე, რა მიწებზე დარდობენ ბულგარელებიო, მათ არ გვიპასუხეს და არც შეიძლოთ ეპასუხნათ. მაგრამ არც ერთ ბულგარელს არ განუცხადებია: „ჩვენ პრეტენზია არა გვაქვს თურქეთის ტერიტორიაზე ედირნესა და თრაკიაზეო“. ჩვენს კითხვაზე ბულგარელების მდუმარება ისე გვესმის, როგორც იმის აღიარება, რომ ჩვენს ეშვებს ყოველგვარი საფუძველი აქვთ“.

გაზეთი სწერს, რომ მთელი რიგი ფაქტები ბულგარეთის მმართველი წრეების პოლიტიკაში იმას მოწმობენ, რომ ბულგარელები არაგულწრფელნი არიან, როდესაც თურქეთთან მეგობრობაზე ლაპარაკობენ. „ჩვენ, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი,—სრული საფუძველი გვაქვს არ ვიწამოთ ეს მეგობრობა“.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 18 აპრილი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 17 აპრილს ღამით ინგლისის გამანადგურებელმა ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მთელ რიგ ობიექტებზე საფრანგეთში, ჰოლანდიასა და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში.

ინგლისის მძიმე ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს სიცილიის ნავსადგურ კატანიაზე. ბომბები გასკდა ნავმისადგომის რაიონში და ელექტროსადგურის ახლოს.

ამერიკის თვითმფრინავებმა „მფრინავმა სიმაგრეებმა“ დიდი თავდასხმები მოახდინეს ფერიველსა და პალერმოზე. ბომბები პირდაპირ მოხვდა სანავსადგურო ნაგებობებსა და გემებს. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 17 თვითმფრინავი.

სტალინგრადის დაცვის მონაწილე გვარდიელთა ჯგუფი თბილისში

სტალინგრადის გმირული დაცვის მონაწილე 6 გვარდიული შენაერთის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტშუშაკთა ჯგუფმა, რომელიც სტუმრად ეწვია საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს, კვირას, 18 აპრილს დათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნავი ისტორიულ-რევოლუციური ადგილები. ამავე დღეს მებრძოლთა ჯგუფმა დათვალიერა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ფუნიკულორზე და ქართველ მოღვაწეთა პანთეონი დავითის მთაზე.

საღამოს სტუმრები მიიწვიეს საქართველოს სომეხრისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტზე, რომელიც შესდგა საქართველოს ფილარმონიის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში. დიდი ყურადღებითა და ინტერესით მოისმინეს სტუმრებმა საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერები და ნახეს ხალხური ცეკვები, რამაც მათზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ორშაბათს, 19 აპრილს სტალინგრადის დაცვის მონაწილე გვარდიელთა ჯგუფი მიიწვიეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის კლუბის დარბაზი გაჭედილი იყო სტალინგრადის ისტორიული დაცვის მონაწილეთა შესახვედრად მოსული სტუდენტებით და პროფესორ-მასწავლებლებით. სტუმრების გამოჩენას დარბაზი მჭუხარე ტაშითა და წითელი არმიისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინისადმი მიმართული ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა.

სტუმრების შეხვედრისადმი მიძღვნილი კრება გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა აკად. ა. ჯანელიძემ, რომელიც სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მთელი კოლექტივის სახელით.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა გვარდიის უფროსი ლეიტენანტი, სომები მწერალი რ. ქოჩარი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო სტუმრად ჩამოსულ გვარდიელთა ჯგუფის ყველა წევრი და მოკლედ დაახასიათა მათი საბრძოლო საქმეები. ამხ. რ. ქოჩარი ლაპარაკობდა სტალინგრადის დამცველთა საბრძოლო მეგობრობაზე და იმაზე, თუ როგორ ერთსულოვნად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირში მოსახლე სხვადასხვა ხალხთა შვილები მტრის წინააღმდეგ.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე გვარდიის უფროსმა სერჟანტმა ორდენოსანმა ს. ხოფერიამ, გვარდიის უმცროსმა სერჟანტმა ა. აკოფიანმა, გვარდიის მეორე რანგის სამხედრო ექიმმა კლარა ხოჭოლავამ და პროფ. ა. ხარაძემ.

შეხვედრა გადაიქცა ზურგში მყოფი მეცნიერ მუშაკებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის, მთელი ჩვენი ხალხისა და ფრონტზე მტრის წინააღმდეგ მებრძოლი სახელოვანი წითელი არმიის ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად.

სტალინგრადის დაცვის მონაწილე გვარდიელთა ჯგუფის ყოფნას თბილისში კინოფუსკზე იღებს კინოქრონიკის ბრიგადა.

საომარი მოქმედება ფუნისში

ლონდონი, 18 აპრილი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ტუნისის ფრონტის ყველა უბანზე პატრულებისა და ავიაციის აქტიური მოქმედება სწარმოებდა.

ტუნისის სანაპიროსთან მოქმედმა ტორპედოანმა კატერებმა და ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა ჩასძირეს მტრის 2 საავეარო გემი, რომლებსაც საესკადრო ნაღმოსნები ეცვენდნენ.

ალჟირის რადიოს ცნობით, ფრონტის ცენტრალურ უბანზე გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს ტუნისისაკენ მიმავალი ორი გზის რაიონში.

მოკავშირეთა ჯარები ახლა ტუნისიდან 25 მილზე იმყოფები